საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების წესი

თბილისი

2025 წელი

შინაარსი

მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი 3
მუხლი 2. გამოცდების სახეები და მათი ჩატარების ფორმა 4
მუხლი 3. საგამოცდო განრიგის შედგენა და გამოცდების დაგეგმვა 5
მუხლი 4. რეგისტრაცია საგამოცდო ცენტრში ჩასატარებელი გამოცდებისათვის 8
მუხლი 5. საგამოცდო ცენტრში სტუდენტის ქცევის წესი 9
მუხლი 6. აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული აკრძალვები 11
მუხლი 7. საგამოცდო ცენტრის დამკვირვებლის უფლება-მოვალეობანი 17
მუხლი 8. გამოცდების შედეგები 19
მუხლი 9. დასკვნითი დებულებები 19
დანართი #1 საგამოცდო ბილეთი 20
დანართი #2 საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ „გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების წესის“ დარღვევის ოქმი 22
დანართი #3 წერითი ნაშრომების მიღება-ჩაბარების აქტი 23

მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი

1.1. ეს წესი მოქმედებს, როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო, ასევე სასერტიფიკატო პროგრამების სტუდენტებზე.

1.2. ეს წესი არეგულირებს ა(ა)იპ საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების წესს და მისი მიზანია - საგამოცდო და შეფასების პროცესის ობიექტურობის, სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა.

1.3. გამოცდის და შეფასების მიზანია სტუდენტის არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის შემოწმება, არამედ სტუდენტის მიერ ამ ცოდნის გამოყენების უნარების, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, აღწერისა და შეფასების უნარების შემოწმება, რაც, ერთი მხრივ, ემსახურება სწავლის შედეგებისა და მიღწევების გაზრდას, ხოლო, მეორე მხრივ, ემსახურება საგამოცდო პროცესის და შეფასების ობიექტურობის, სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის ამაღლებას.

1.4. უნივერსიტეტის მიზანია, თითოეული სტუდენტი მთელი სემესტრის მანძილზე აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში და სტუდენტის ცოდნის დონე განიცდიდეს პროგრესს თითოეული სასწავლო კვირის განმავლობაში. მიღწეული პროგრესის გაზომვის ფორმებს წარმოადგენს ქვიზი, ტესტირება, ინდივიდუალური და ჯგუფური პრეზენტაცია, ესეი, ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტი და შესაბამისი საგნის სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური შეფასების სხვა ფორმები.

1.5. უნივერსიტეტი გამოცდებს ატარებს ამ წესის დებულებათა შესაბამისად და უნივერსიტეტის თითოეული თანამშრომელი და სტუდენტი ვალდებულია, განუხრელად დაიცვას ამ წესის მოთხოვნები.

1.6. ამ წესით დადგენილი მოთხოვნები განხილულ უნდა იქნეს უნივერსიტეტის წესდების, შრომის შინაგანაწესის, „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“, „აკადემიური პერსონალისა და სწავლების პროცესში მონაწილე სხვა პირების ეთიკის კოდექსის“, უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის პროგრამების დებულების, შესაბამისი საგნის სილაბუსის, უნივერსიტეტთან გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებებისა და

სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების საფუძველზე დადგენილ მოთხოვნებთან ერთობლიობაში.

მუხლი 2. გამოცდების სახეები და მათი ჩატარების ფორმა

2.1. უნივერსიტეტის სტუდენტის ცოდნა სასწავლო სემესტრის განმავლობაში ფასდება შუალედური და დასკვნითი შეფასების სახით. შეფასების ფორმებია: ტესტი; ინდივიდუალური ან ჯგუფური პრეზენტაცია; ესეი; ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტი და შესაბამისი საგნის სილაბუსით განსაზღვრული შეფასების სხვა ფორმები.

2.2. საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით, შესაძლოა დაინიშნოს დამატებითი გამოცდა.

2.3. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სასწავლო კურსში/საგანში დანიშნოს და ჩაატაროს შუალედური შეფასება, ნებისმიერი ფორმით.

2.4. ფინალური გამოცდის შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა ინიშნება გადაბარების ვადაში.

2.5. გამოცდის თარიღი დგინდება უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის მიერ.

2.6. სტუდენტი ფასდება წერითი ან/და ზეპირი ფორმით.

2.7. როგორც წესი, წერითი შეფასება ტარდება ელექტრონული ფორმით, უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში - თითოეული სტუდენტისათვის პერსონალურად გამოყოფილ კომპიუტერთან მუშაობის გზით ან წერით ფურცელზე.

2.8. გამოცდების მსვლელობის ჩაწერა ხორციელდება ვიდეო-მონიტორინგის კამერების მეშვეობით.

2.9. სტუდენტის შეფასების ობიექტურობის, სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი გამოცდის მსვლელობის დროს

ხორციელდება სტუდენტისათვის პერსონალურად გამოყოფილი კომპიუტერის ეკრანის მონიტორინგი.

2.10. წერითი შეფასება ტარდება:

2.10.1. „დახურული წიგნის მეთოდით“ - რომლის დროსაც სტუდენტს ეკრძალება რაიმე სახის დამხმარე მასალის ან ლიტერატურის გამოყენება;

2.10.2. „ღია წიგნის მეთოდით“ - რომლის დროსაც სტუდენტს კონკრეტულად მიეთითება შესაბამისი საგნის ლექტორის მიერ, თუ რა სახის დამხმარე მასალის ან ლიტერატურის გამოყენების უფლება აქვს;

2.10.3. ამ პუნქტის 2.10.1 და 2.10.2 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მეთოდების გამოყენებით ერთი და იმავე გამოცდის შესაბამისი სესიის განმავლობაში - საგნის ლექტორის მითითების გათვალისწინებით.

მუხლი 3. საგამოცდო განრიგის შედგენა და გამოცდების დაგეგმვა

3.1. უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი ადგენს სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შუალედური, ფინალური და დამატებითი (მათ შორის, ფინალური გამოცდის გადაბარების) გამოცდების განრიგს. საგამოცდო ცხრილები განთავსებულია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (http://agruni.edu.ge).

3.2. წერილობით შუალედურ შეფასებებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, საგამოცდო ცენტრს აწვდის სკოლის ადმინისტრაცია, სემესტრის დაწყებიდან 3 კვირის ვადაში.

3.3. წერილობითი ფინალური გამოცდების დაწყებამდე 5 კვირით ადრე საგამოცდო ცენტრი ადგენს ფინალური გამოცდების ნუსხას და აცნობს სკოლის ადმინისტრაციას.

3.4. წერილობითი გამოცდა ტარდება საგამოცდო ცხრილით დანიშნულ დროს. დამატებითი შუალედური წერილობითი გამოცდის დანიშვნა/ჩატარება არ ხდება, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, რომლის საჭიროებასაც, ინდივიდუალური გარემოებების

გათვალისწინებით, ადგენს სკოლის ადმინისტრაცია/საგნის კურატორი. დამატებითი გამოცდის თარიღი თანხმდება საგამოცდო ცენტრთან.

3.5. დამატებითი გამოცდის დანიშვნა რეგულირდება შესაბამისი საგნის სილაბუსის მიხედვით.

3.6. გამოცდაზე გამოუცხადებლობის საპატიოდ მიჩნევის მიზნით, სტუდენტი ვალდებულია, სკოლის ადმინისტრაციას/საგნის კურატორს წარუდგინოს შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიერ გაცემული ცნობა. ცნობაში მითითებულ უნდა იქნეს უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და შესაბამისი ცნობის გაცემაზე უფლებამოსილი დაწესებულების ფაქტობრივი მისამართი, წინააღმდეგ შემთხვევაში, სკოლის ადმინისტრაცია/შესაბამისი საგნის კურატორი ცნობას არ მიიჩნევს გამოცდაზე გამოუცხადებლობის ფაქტის საპატიოდ შეფასების საფუძვლად.

3.7. სტუდენტის მიერ წარდგენილი ცნობის ნამდვილობა ექვემდებარება სკოლის ადმინისტრაციის/საგნის კურატორის მიერ გადამოწმებას.

3.8. სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ნებისმიერ დროს შესაძლოა გადამოწმდეს ამ მუხლის 3.6 პუნქტში აღნიშნული ცნობის ნამდვილობა და აღნიშნულთან დაკავშირებით არ მოქმედებს ხანდაზმულობის ვადა. გადამოწმების შედეგი აისახება სტუდენტის მიერ ამ კონკრეტული ცნობის საფუძველზე ჩაბარებული გამოცდის შედეგზე, მისი ანულირების სახით და აისახება სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების პროცესზე.

3.9. უნივერსიტეტის მიერ წერილობითი გამოცდის გადატანა ტექნიკური ან სხვა რაიმე მიზეზის გამო, შესაძლოა განხორციელდეს გამოცდის ჩატარებამდე არანაკლებ ორი დღის ვადაში.

3.10. შუალედური წერითი შეფასება შესაძლოა ჩატარდეს შესაბამისი საგნის ლექციისათვის განკუთვნილ დროს. თუ შუალედური წერილობითი შეფასება ინიშნება არასალექციო/არასასემინარო პერიოდში, შესაბამისი საგნის ლექციისათვის/სემინარისთვის განკუთვნილ დროს, გამოცდის დროს ადგენს შესაბამისი სკოლის ადმინისტრაცია/საგნის კურატორი, საგამოცდო ცენტრთან შეთანხმებით.

3.11. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ხანგრძლივობა განისაზღვრება შესაბამისი საგნის სილაბუსით.

3.12. საგნის ლექტორი საგამოცდო საკითხებსა და, „ღია წიგნის მეთოდით“ წერითი შეფასების ჩატარების შემთხვევაში, გამოსაყენებელ ლიტერატურას საგამოცდო ცენტრს აწვდის შუალედური გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ 2 სამუშაო დღით ადრე, ხოლო ფინალური გამოცდის შემთხვევაში - 1 კვირით ადრე, ამ წესის #1 დანართით დადგენილი ფორმის შესაბამისად.

3.13. საგნის ლექტორი ვალდებულია, თითოეული სესიისთვის შეადგინოს საგამოცდო საკითხების რამდენიმე განსხვავებული ვერსია, რათა საგამოცდო ცენტრის მიერ უზრუნველყოფილ იქნეს შეფასების პროცესის ობიექტურად, სამართლიანად, გამჭვირვალედ და ეფექტიანად ჩატარება. დამატებითი გამოცდის დანიშვნის შემთხვევაში, საგნის ლექტორი ვალდებულია, საგამოცდო ცენტრს წარუდგინოს საკითხების განსხვავებული ვერსია.

3.14. საგნის ლექტორი საგამოცდო ფაილის დასახელებას იწყებს ლათინური A-ით (საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აღსანიშნად), შემდეგ აწერს საგნის დასახელებას, საკითხის ვარიანტს, ლექტორის სახელსა და გვარს.

3.15. უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ვალდებულია, საგამოცდო ცენტრს სემესტრის დასაწყისში მიაწოდოს ინფორმაცია საგნების უწყისებში სტუდენტთა სიების ფორმირების დასრულების შესახებ.

3.16. უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ვალდებულია, წერილობით ფინალურ გამოცდამდე ერთი კვირით ადრე, ხოლო ფინალური გამოცდის გადაბარების შემთხვევაში, დანიშნულ გამოცდამდე 2 სამუშაო დღით ადრე, საგამოცდო ცენტრს დაუდასტუროს საგნების უწყისებში შედეგების აღრიცხვა.

მუხლი 4. რეგისტრაცია საგამოცდო ცენტრში ჩასატარებელი გამოცდებისათვის

4.1. საგამოცდო ცენტრში ჩასატარებელი გამოცდებისათვის რეგისტრაცია სტუდენტებს ეგზავნებათ ელექტრონული სახით, წერილობით გამოცდამდე არაუგვიანეს 3 საათით ადრე; ასევე, აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრთან განთავსებულ მონიტორზე.

4.2. სტუდენტი ვალდებულია, გაეცნოს საგამოცდო რეგისტრაციის შესახებ უნივერსიტეტის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე მიღებულ ინფორმაციას (გამოცდის საგანი/სასწავლო კურსი, დრო, საგამოცდო ადგილი და ვარიანტი).

4.3. სტუდენტი, ასევე, ვალდებულია გაითვალისწინოს, რომ შესაძლოა, ტექნიკური თუ სხვა მიზეზით საგამოცდო რეგისტრაციის ინფორმაცია არ მიიღოს ელექტრონულ ფოსტაზე, რაც არ ნიშნავს, რომ გამოცდა არ ტარდება.

4.4. ინფორმაცია საგამოცდო პროცესების თაობაზე, რომელიც სტუდენტებს მიეწოდებათ ჯგუფურად ან ავტომატურად ელექტრონულ სისტემაში გენერირებული წერილობითი შეტყობინებების სახით, არის მხოლოდ სტუდენტების ინფორმირების, შეხსენებისა და მხედველობაში მიღების მიზნით და ასეთი შეტყობინებების მიმღებ სტუდენტებს არ ანიჭებს არავითარ ახალ ან განსხვავებულ უფლებას.

4.5. ამ მუხლის 4.4 პუნქტში აღნიშნული შეტყობინების მიღების შემდეგ, სტუდენტი ვალდებულია, ამ შეტყობინებაში დასახელებულ პროცესთან საკუთარი შესაბამისობის განმსაზღვრელი პირადი გარემოებები, ვალდებულებები და უფლებამოსილებები გადაამოწმოს თავად.

4.6. ამ მუხლის 4.4. პუნქტში აღნიშნულ შეტყობინებაში მოცემული ინფორმაცია და მისი რელევანტურობა კონკრეტული სტუდენტის მიმართ უნდა გადამოწმდეს თითოეული სტუდენტის მიერ შესაბამისი სკოლის ადმინისტრაციასთან/საგნის კურატორთან და არ წარმოქმნის არავითარ ახალ ან დამატებით ვალდებულებას უნივერსიტეტისათვის.

მუხლი 5. საგამოცდო ცენტრში სტუდენტის ქცევის წესი

სტუდენტი ვალდებულია:

5.1. საგამოცდო ცენტრის წარმომადგენელს წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი ფოტოსურათიანი დოკუმენტი (პირადობის მოწმობა, მართვის მოწმობა, პასპორტი), რომელიც იძლევა სტუდენტის იდენტიფიცირების საშუალებას. წარმოდგენილი საბუთი არ უნდა იყოს ვადაგასული, წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტი არ დაიშვება გამოცდაზე და იგი ვალდებულია, დაუყოვნებლივ დატოვოს საგამოცდო ცენტრი;

5.2. გამოცდაზე გამოცხადდეს დროულად. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი გამოცდაზე მისთვის განკუთვნილ სამუშაო მაგიდასთან გამოცხადდება მაქსიმუმ 10 წუთის დაგვიანებით, იგი შესაძლოა, გამოცდის სპეციფიკის გათვალისწინებით, დაშვებულ იქნეს გამოცდაზე, თუმცა, მას არ მიეცემა დამატებითი საგამოცდო დრო;

5.3. თუ სტუდენტი გამოცდაზე მისთვის განკუთვნილ სამუშაო მაგიდასთან გამოცხადდება საგამოცდო ცხრილში გამოცდის დაწყების მითითებული დროიდან 10 წუთის შემდეგ, იგი გამოცდაზე არ დაიშვება და სტუდენტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ დატოვოს საგამოცდო ცენტრი;

5.4. საგამოცდო ცენტრში შესვლისთანავე, მობილური ტელეფონი ან/და სხვა ელექტრონული მოწყობილობა, ასევე, მის ხელთ არსებული ნებისმიერი ნივთი შეინახოს საგამოცდო ცენტრში ამ მოწყობილობის შესანახად განკუთვნილ სპეციალურ ადგილას; წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ დატოვოს საგამოცდო ცენტრი;

5.5. მთელი გამოცდის განმავლობაში, სტუდენტისათვის განკუთვნილ სამუშაო მაგიდაზე, გამოსაჩენ ადგილას განათავსოს პირადობის საიდენტიფიკაციო დოკუმენტი იმდაგვარად, რომ საგამოცდო ცენტრის დამკვირვებელი დაუბრკოლებლად ხედავდეს დოკუმენტს;

5.6. იმუშაოს მხოლოდ და მხოლოდ საგამოცდო რეგისტრაციით წინასწარ მინიჭებულ ვარიანტზე; აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტის ნაშრომი არ ფასდება და შესაბამისად, აღნიშნული ნაშრომის შეფასება განისაზღვრება 0 ქულით;

5.7. საგამოცდო ცენტრში სტუდენტის სამუშაო კომპიუტერის დესკტოპზე მისი მეილის პრეფიქსით დასათაურებულ ფოლდერში შეინახოს საგამოცდო ნამუშევარი; ხოლო ფოლდერს არ შეუცვალოს დასათაურება; აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტის ნაშრომი არ ფასდება და შესაბამისად, აღნიშნული ნაშრომის შეფასება განისაზღვრება 0 ქულით;

5.8. არაელექტრონულად შესრულებული საგამოცდო ნაშრომი არ გაიტანოს საგამოცდო ცენტრის ფარგლებს გარეთ; სტუდენტი ვალდებულია, ნაშრომი გადასცეს საგამოცდო ცენტრის წარმომადგენელს ან განათავსოს წინასწარ განსაზღვრულ ადგილას მითითებული წესის/ფორმის დაცვით. აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტის ნაშრომი არ ფასდება და შესაბამისად, აღნიშნული ნაშრომის შეფასება განისაზღვრება 0 ქულით;

5.9. არ გამოცხადდეს გამოცდაზე არაფხიზელ მდგომარეობაში; ასეთ შემთხვევაში, სტუდენტს არ მიეცემა საგამოცდო ცენტრში ყოფნის უფლება და იგი ვალდებულია, დაუყოვნებლივ დატოვოს საგამოცდო სივრცე;

5.10. საგამოცდო ცენტრი არ დატოვოს გამოცდის დაწყებიდან 10 წუთის განმავლობაში; ასეთ შემთხვევაში, საგამოცდო ცენტრი ადგენს დარღვევის ოქმს და გაფორმებული ოქმის საფუძველზე, იწყება დისციპლინური წარმოება, „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ მე-5 მუხლის 5.1 პუნქტის 5.1.4 ქვეპუნქტის დარღვევის გამო;

5.11. არ მიატოვოს სამუშაო მაგიდა საგამოცდო ცენტრის თანამშრომელთან შეთანხმების გარეშე (გარდა იმ შემთხვევისა, თუ სტუდენტმა დაასრულა ნაშრომზე მუშაობა). წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გამოცდის გაგრძელების უფლებას და გამოცდა ითვლება დასრულებულად.

მუხლი 6. აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული აკრძალვები

სტუდენტს ეკრძალება:

6.1. გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან; სხვის მიერ შესრულებული დავალების საკუთრად გასაღება ან გასაღების მცდელობა; სხვისი ნამუშევრის მომზადება; ცრუმაგიერ პირად წარმოჩენა; აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ფორმდება „გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების წესის“ დარღვევის ოქმი და სტუდენტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ დატოვოს საგამოცდო ცენტრი. იმ შემთხვევაში, თუ ამ პუნქტით დადგენილ დარღვევას ადგილი ჰქონდა საგამოცდო ცენტრის ფარგლებს გარეთ, საკითხის ინიციატორი სამსახურებრივი ბარათით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტის ნაშრომი არ ფასდება და შესაბამისად, აღნიშნული ნაშრომის შეფასება განისაზღვრება 0 ქულით. გაფორმებული ოქმის ან სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, იწყება დისციპლინური წარმოება, „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ მე-5 მუხლის 5.1 პუნქტის 5.1.1 ქვეპუნქტის დარღვევის გამო; დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, სტუდენტის შეფასება შესაბამის საგანში/სასწავლო კურსში განისაზღვრება F-ით;

6.2. ნებისმიერი სახის წინასწარ მომზადებული დამხმარე მასალის, სხვადასხვა ტექნიკური საშუალების საგამოცდო პროცესის მიმდინარეობის დროს ფლობა, გამოყენება ან გამოყენების მცდელობა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ფორმდება „გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების წესის“ დარღვევის ოქმი და სტუდენტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ დატოვოს საგამოცდო ცენტრი, ხოლო სტუდენტის ნაშრომი არ ფასდება და შესაბამისად, აღნიშნული ნაშრომის შეფასება განისაზღვრება 0 ქულით. გაფორმებული ოქმის საფუძველზე, იწყება დისციპლინური წარმოება, „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ მე-5 მუხლის 5.1 პუნქტის 5.1.1 ქვეპუნქტის დარღვევის გამო; დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, სტუდენტის შეფასება შესაბამის საგანში/სასწავლო კურსში განისაზღვრება F-ით;

6.3. სხვისი ნამუშევრის ან შემოქმედებითი იდეის, შემოქმედებითი გადაწყვეტის, ნახაზის, ტექსტის, ესკიზის, პროექტის, მაკეტის, გეგმის, სქემის, ფოტოსურათის, ელექტრონული ინფორმაციის, ვიდეო - და აუდიოჩანაწერების გამოყენება ავტორისა და წყაროს მითითების გარეშე, ან მისი საკუთრად გასაღება, ან საკუთრად გასაღების მცდელობა;

ამასთან, ნამუშევარში გამოყენებული პლაგიატის პროპორციის მოცულობა მთელ ნამუშევართან მიმართებით არ მიიჩნევა პლაგიატის არსებობის განმსაზღვრელ კრიტერიუმად. სტუდენტის მიმართ იწყება დისციპლინური წარმოება, „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ მე-5 მუხლის 5.1 პუნქტის 5.1.2 ქვეპუნქტის დარღვევის გამო; დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, სტუდენტის შეფასება შესაბამის საგანში/სასწავლო კურსში განისაზღვრება F-ით;

6.4. ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად გასაღება; ასეთ შემთხვევაში, სტუდენტის მიმართ იწყება დისციპლინური წარმოება, „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ მე-5 მუხლის 5.1 პუნქტის 5.1.7 ქვეპუნქტის დარღვევის გამო; დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, სტუდენტის შეფასება შესაბამის საგანში/სასწავლო კურსში განისაზღვრება F-ით;

6.5. იდენტობის გაყალბების საშუალებით, სხვა პირთან გარიგება გამოცდის ჩაბარების მიზნით; სხვა პირის გამოყენებით გამოცდის ჩაბარება ან გამოცდის ჩაბარების მცდელობა; ასეთ შემთხვევაში, უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი აფორმებს „გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების წესის“ დარღვევის ოქმს და სტუდენტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ დატოვოს საგამოცდო ცენტრი. იმ შემთხვევაში, თუ ამ პუნქტით დადგენილ დარღვევას ადგილი ჰქონდა საგამოცდო ცენტრის ფარგლებს გარეთ, საკითხის ინიციატორი სამსახურებრივი ბარათით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტის ნაშრომი არ ფასდება და შესაბამისად, აღნიშნული ნაშრომის შეფასება განისაზღვრება 0 ქულით. გაფორმებული ოქმის ან სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, სტუდენტის მიმართ იწყება დისციპლინური წარმოება, „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ მე-5 მუხლის 5.1 პუნქტის 5.1.8 ქვეპუნქტის დარღვევის გამო; დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, სტუდენტის შეფასება შესაბამის საგანში/სასწავლო კურსში განისაზღვრება F-ით;

6.6. საგამოცდო მასალების, მათ შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება, გავრცელება, შესაფასებლად ჩაბარებული ნამუშევრის უნებართვოდ ჩანაცვლება, ასევე, საგამოცდო დავალების ნამუშევრის ჩანაცვლება; ასეთ შემთხვევაში, სტუდენტის მიმართ იწყება დისციპლინური წარმოება, „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ მე-5 მუხლის 5.1 პუნქტის 5.1.9 ქვეპუნქტის დარღვევის გამო; დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, სტუდენტის შეფასება შესაბამის საგანში/სასწავლო კურსში განისაზღვრება F-ით;

6.7. საუნივერსიტეტო მონაცემების (აკადემიური/ადმინისტრაციული) გაყალბება ან/და გამოყენება; ასეთ შემთხვევაში, სტუდენტის მიმართ იწყება დისციპლინური წარმოება, „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ მე-5 მუხლის 5.1 პუნქტის 5.1.10 ქვეპუნქტის დარღვევის გამო; დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, სტუდენტის შეფასება შესაბამის საგანში/სასწავლო კურსში განისაზღვრება F-ით;

6.8. კვლევითი სამუშაოების მონაცემებისა და შედეგების გაყალბება; ასეთ შემთხვევაში, სტუდენტის მიმართ იწყება დისციპლინური წარმოება, „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ მე-5 მუხლის 5.1 პუნქტის 5.1.6 ქვეპუნქტის დარღვევის გამო; დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, სტუდენტის შეფასება შესაბამის საგანში/სასწავლო კურსში განისაზღვრება F-ით;

6.9. საგამოცდო ცენტრში მისთვის განკუთვნილ სამუშაო მაგიდასთან იქონიოს მობილური ტელეფონი, ყურსასმენები, ნოუთბუკი ან/და სხვა ელექტრონული მოწყობილობა, ასევე ნებისმიერი აქსესუარი, რაც ხელს უშლის სტუდენტის მონიტორინგს საგამოცდო ცენტრის მიერ, ქურთუკი, ქუდი/თავსაბურავი (გარდა რელიგიური რწმენით განპირობებული გარემოებებისა, რაზეც წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი, რათა დაუშვას გამონაკლისი); საგამოცდო მაგიდასთან ამ ნივთების აღმოჩენის შემთხვევაში, სტუდენტს ერთმევა გამოცდის გაგრძელების ან/და დასრულების უფლება. უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი აფორმებს „გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების წესის“ დარღვევის ოქმს და სტუდენტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ დატოვოს საგამოცდო ცენტრი. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტის ნაშრომი არ ფასდება და შესაბამისად, აღნიშნული ნაშრომის შეფასება განისაზღვრება 0 ქულით. გაფორმებული ოქმის საფუძველზე, იწყება დისციპლინური წარმოება, „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ მე-5 მუხლის 5.1 პუნქტის 5.1.1 ქვეპუნქტის დარღვევის გამო; დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, სტუდენტის შეფასება შესაბამის საგანში/სასწავლო კურსში განისაზღვრება F-ით;

6.10. გამოცდაზე სხვისი ნაშრომის ან დაუშვებელი დამხმარე ჩანაწერების გამოყენება; იქონიოს სხეულზე დროებით გაკეთებული წარწერები (ჩანაწერები); წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი აფორმებს „გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების წესის“ დარღვევის ოქმს, ხოლო სტუდენტის ნაშრომი არ ფასდება და სტუდენტის შეფასება

განისაზღვრება 0 ქულით. გაფორმებული ოქმის საფუძველზე, იწყება დისციპლინური წარმოება, „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ მე-5 მუხლის 5.1 პუნქტის 5.1.1 ქვეპუნქტის დარღვევის გამო; დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, სტუდენტის შეფასება შესაბამის საგანში/სასწავლო კურსში განისაზღვრება F-ით;

6.11. საგამოცდო ცენტრში, გამოცდის მიმდინარეობისას, სხვა სტუდენტთან გადალაპარაკება, სხვა სტუდენტის ყურადღების მიპყრობა, მისთვის შეკითხვის დასმა, ან მისგან გადაწერა; აღნიშნულ შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და იგი ვალდებულია, დაუყოვნებლივ დატოვოს საგამოცდო ცენტრი. იმ შემთხვევაში, თუ ამ პუნქტით დადგენილ დარღვევას ადგილი ჰქონდა საგამოცდო ცენტრის ფარგლებს გარეთ, საკითხის ინიციატორი სამსახურებრივი ბარათით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტის ნაშრომი არ ფასდება და სტუდენტის შეფასება განისაზღვრება 0 ქულით. გაფორმებული ოქმის ან სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, იწყება დისციპლინური წარმოება, „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ მე-5 მუხლის 5.1 პუნქტის 5.1.1 ქვეპუნქტის დარღვევის გამო; დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, სტუდენტის შეფასება შესაბამის საგანში/სასწავლო კურსში განისაზღვრება F-ით;

6.12. საგამოცდო ცენტრში, გამოცდის მიმდინარეობისას, სხვა სტუდენტთან ნებისმიერი სახის ან ფორმის კომუნიკაციაში შესვლა, პასუხის გაცემა, მისთვის კარნახი, ნებისმიერი სახის დახმარება ან მცდელობა; აღნიშნულ შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და იგი ვალდებულია, დაუყოვნებლივ დატოვოს საგამოცდო ცენტრი, ხოლო სტუდენტის ნაშრომი არ ფასდება და მისი შეფასება განისაზღვრება 0 ქულით; საგამოცდო ცენტრის მიერ გაფორმებული „გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების წესის“ დარღვევის ამსახველი ოქმის საფუძველზე, იწყება დისციპლინური წარმოება, „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ მე-5 მუხლის 5.1 პუნქტის 5.1.4 ქვეპუნქტის დარღვევის გამო;

6.13. საგამოცდო ცენტრში გამოცდის მიმდინარეობისას, “დახურული წიგნის მეთოდით” შეფასების ჩატარებისას, იქონიოს სამუშაო მაგიდასთან წიგნი, კონსპექტი, ჩანაწერი, ტექსტი, ჩანახატი და სხვა სახის დამხმარე ჩანაწერები, ან სამუშაო კომპიუტერის დესკტოპზე გახსნილი ჰქონდეს რაიმე სახის ელექტრონული დოკუმენტები ან პროგრამები. წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და სტუდენტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ დატოვოს საგამოცდო ცენტრი.

უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი აფორმებს „გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების წესის“ დარღვევის ოქმს, ხოლო სტუდენტის ნაშრომი არ ფასდება და სტუდენტის შეფასება განისაზღვრება 0 ქულით. გაფორმებული ოქმის საფუძველზე, იწყება დისციპლინური წარმოება, „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ მე-5 მუხლის 5.1 პუნქტის 5.1.1 ქვეპუნქტის დარღვევის გამო; დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, სტუდენტის შეფასება შესაბამის საგანში/სასწავლო კურსში განისაზღვრება F-ით;

6.14. საგამოცდო ცენტრის დამკვირვებლისათვის შეურაცხყოფის მიყენება, დამკვირვებლის შენიშვნისადმი / მოთხოვნისადმი / მითითებისადმი დაუმორჩილებლობა, ხმაური ან/და გამოცდის მსვლელობის სხვაგვარი შეფერხება. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და სტუდენტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ დატოვოს საგამოცდო ცენტრი. უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი აფორმებს „გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების წესის“ დარღვევის ოქმს, ხოლო სტუდენტის ნაშრომი არ ფასდება და სტუდენტის შეფასება განისაზღვრება 0 ქულით. გაფორმებული ოქმის საფუძველზე, იწყება დისციპლინური წარმოება „სტუდენტის ეთიკის კოდექსით“ დადგენილი წესის შესაბამისად;

6.15. უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის თანამშრომლების მიერ განხორციელებული ფაქტობრივი გარემოებების შეგროვების (ფოტო-ფიქსაცია და ა.შ.) პროცესისთვის ხელის შეშლა. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი აფორმებს „გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების წესის“ დარღვევის ოქმს, ხოლო სტუდენტის ნაშრომი არ ფასდება და სტუდენტის შეფასება განისაზღვრება 0 ქულით. გაფორმებული ოქმის საფუძველზე, იწყება დისციპლინური წარმოება „სტუდენტის ეთიკის კოდექსით“ დადგენილი წესით;

6.16. საგამოცდო ცენტრში, გამოცდის მსვლელობის დროს დოკუმენტის შრიფტის 12-ზე მეტი ზომით, ხოლო მასშტაბის გაზრდა 100%-ზე მეტი ზომით. აღნიშნულ შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი აფორმებს „გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების წესის“ დარღვევის ოქმს, ხოლო სტუდენტის ნაშრომი არ ფასდება და სტუდენტის შეფასება განისაზღვრება 0 ქულით. გაფორმებული ოქმის საფუძველზე, იწყება დისციპლინური წარმოება „სტუდენტის ეთიკის კოდექსით“ დადგენილი წესით. დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, სტუდენტის შეფასება შესაბამის საგანში/სასწავლო კურსში განისაზღვრება F-ით. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს აქვს მხედველობის პრობლემა, მან წინასწარ უნდა

აცნობოს საგამოცდო ცენტრს აღნიშნულის თაობაზე, რის შედეგადაც მას გამოეყოფა სპეციალური ადგილი საგამოცდო ცენტრში;

6.17. საგამოცდო ცენტრში, გამოცდის მსვლელობის დროს დოკუმენტის შრიფტის 12-ზე მეტი ზომით, ხოლო მასშტაბის გაზრდა 100%-ზე მეტი ზომით. აღნიშნულ შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი აფორმებს „გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების წესის“ დარღვევის ოქმს, ხოლო სტუდენტის ნაშრომი არ ფასდება და სტუდენტის შეფასება განისაზღვრება 0 ქულით. გაფორმებული ოქმის საფუძველზე, იწყება დისციპლინური წარმოება „სტუდენტის ეთიკის კოდექსით“ დადგენილი წესით. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს აქვს მხედველობის პრობლემა, მან წინასწარ უნდა აცნობოს საგამოცდო ცენტრს აღნიშნულის თაობაზე, რის შედეგადაც მას გამოეყოფა სპეციალური ადგილი საგამოცდო ცენტრში;

6.18. საგამოცდო ცენტრში, არაავტორიზებული სათადარიგო ფურცლის გამოყენება; ასევე, სათადარიგო ფურცლის/არაავტორიზებული სათადარიგო ფურცლის გატანა საგამოცდო ცენტრიდან. ასეთ შემთხვევაში, საგამოცდო ცენტრი აფორმებს „გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების წესის“ დარღვევის ოქმს, რომლის საფუძველზეც იწყება დისციპლინური წარმოება „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ მე-5 მუხლის 5.1 პუნქტის 5.1.9 ქვეპუნქტის დარღვევის გამო;

6.19. თუ სტუდენტი გამოცდაზე მისთვის განკუთვნილ სამუშაო მაგიდასთან გამოცხადდება საგამოცდო ცხრილში გამოცდის დაწყების მითითებული დროიდან 10 წუთის შემდეგ, იგი გამოცდაზე არ დაიშვება და უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი აფორმებს „გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების წესის“ დარღვევის ოქმს, ხოლო სტუდენტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ დატოვოს საგამოცდო ცენტრი. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტის შეფასება შესაბამის საგანში/სასწავლო კურსში განისაზღვრება 0-ით;

6.20. ნებისმიერი სხვა ქმედება, რაც შეიძლება ჩაითვალოს დაუმსახურებელი და არაობიექტური შეფასების მიღების საფუძვლად, სხვისთვის ხელის შეშლად, ან შეცდომაში შეყვანად. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და სტუდენტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ დატოვოს საგამოცდო ცენტრი. იმ შემთხვევაში, თუ ამ პუნქტით დადგენილ დარღვევას ადგილი ჰქონდა საგამოცდო ცენტრის ფარგლებს გარეთ, საკითხის ინიციატორი სამსახურებრივი ბარათით მიმართავს უნივერსიტეტის

რექტორს. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტის ნამუშევარი არ ფასდება და მისი შეფასება განისაზღვრება 0 ქულით. გაფორმებული ოქმის ან სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, იწყება დისციპლინური წარმოება „სტუდენტის ეთიკის კოდექსით“ დადგენილი წესით; დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, სტუდენტის შეფასება შესაბამის საგანში/სასწავლო კურსში განისაზღვრება F-ით;

6.21. ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელიც იკრძალება “სტუდენტის ეთიკის კოდექსით” და რომლის დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას; ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ დატოვოს საგამოცდო ცენტრი. უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი აფორმებს „გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების წესის“ დარღვევის ოქმს. იმ შემთხვევაში, თუ ამ პუნქტით დადგენილ დარღვევას ადგილი ჰქონდა საგამოცდო ცენტრის ფარგლებს გარეთ, საკითხის ინიციატორი სამსახურებრივი ბარათით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტის ნამუშევარი არ ფასდება და მისი შეფასება განისაზღვრება 0 ქულით. გაფორმებული ოქმის ან სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, იწყება დისციპლინური წარმოება და სტუდენტის მიმართ გამოიყენება “სტუდენტის ეთიკის კოდექსით” დადგენილი სანქცია;

6.22. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლით დადგენილ დარღვევას ადგილი ჰქონდა საგამოცდო ცენტრის ფარგლებს გარეთ, საკითხის ინიციატორი სამსახურებრივი ბარათით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს და ითხოვს დამრღვევის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყებას “ეთიკის საბჭოს რეგლამენტითა” და “გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების წესით” განსაზღვრული რეგლამენტირების შესაბამისად.

6.23. ეთიკის საბჭო უფლებამოსილია, კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, დადასტურებული გაუფრთხილებლობით ჩადენილი დარღვევის დროს, სტუდენტის მიმართ გამოიყენოს მხოლოდ წერილობითი გაფრთხილება.

მუხლი 7. საგამოცდო ცენტრის დამკვირვებლის უფლება-მოვალეობანი

საგამოცდო ცენტრის დამკვირვებელი ვალდებულია:

7.1. შეადგინოს საგამოცდო ცხრილი;

7.2. მოამზადოს სტუდენტთა სიები რეგისტრაციისთვის; ამასთან, გამოცდაზე არ დაუშვას ის სტუდენტი, რომელთანაც უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტების მოთხოვნათა დარღვევის გამო შეწყვეტილია უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების მოქმედება;

7.3. უზრუნველყოს საგამოცდო საკითხების შეგროვება ამ წესით დადგენილ ვადებში;

7.4. გამოცდის დაწყებამდე გაასუფთაოს ყველა კომპიუტერი ზედმეტი ფაილებისგან;

7.5. აუცილებლობის შემთხვევაში და გამოცდის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტებს დაურიგოს სათადარიგო ფურცლები (რომელთა საგამოცდო ცენტრიდან გატანა აკრძალულია), დააწეროს მაგიდის ნომერი და ხელი მოაწეროს მათ;

7.6. უზრუნველყოს სტუდენტთა დისციპლინა ამ წესის მე-5 მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო დარღვევის შემთხვევაში, შეადგინოს ოქმი ამ წესის #2 დანართით დადგენილი ფორმის შესაბამისად და მიაწოდოს საგნის ლექტორსა და შესაბამისი სკოლის ადმინისტრაციას;

7.7. გამოცდის დასრულებამდე არ დატოვოს საგამოცდო ცენტრი საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმების გარეშე;

7.8. ამ წესის რომელიმე დებულების ან „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნათა დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელს და მიიღოს ამ წესით დადგენილი რეაგირების ზომები;

7.9. გამოცდის დასრულებისთანავე საგნის ლექტორს მიაწოდოს სტუდენტთა ნაშრომები;

7.10. გამოცდის დასრულებისთანავე საგნის ლექტორს გადაუგზავნოს სტუდენტთა დასწრების ელექტრონული სია.

მუხლი 8. გამოცდების შედეგები

8.1. გამოცდის და შეფასების შედეგებს სტუდენტი ეცნობა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS).

8.2. სტუდენტი უფლებამოსილია, გააპროტესტოს შეფასება შესაბამისი საფეხურის პროგრამების დებულებებით დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1. გამოცდების პროცესის დახვეწისა და უკეთ ორგანიზების მიზნით უნივერსიტეტი ახორციელებს „გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების წესის“ ცვლილებებს. წესში შეტანილი ცვლილებები ექვემდებარება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე დაუყოვნებლივ გამოქვეყნებას.

9.2. „გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების წესის“ რომელიმე ნორმის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა გავლენას არ ახდენს ამ წესის დანარჩენი ნორმების იურიდიულ ძალაზე.

დანართი #1

საგამოცდო ბილეთი

საგანი	
პროგრამა	
კურსი	
ჯგუფი/ჯგუფები	
ლექტორი	
გამოცდის ფორმატი (მონიშნეთ)	
☐ დახურული წიგნი	
ღია წიგნის შემთხვევაში მონიშნეთ	☐ ელექტრონული მასალა ☐ წიგნები
გამოცდის კომპიუტერში წერის შემთხვევაში, მონიშნეთ მხოლოდ ის კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფა (ერთი ან რამდენიმე), რომელიც უნდა გამოიყენოს სტუდენტმა. ***ნაშრომების შეგროვება და მოწოდება მოხდება, თქვენ მიერ მითითებული პროგრამის გაფართოების მიხედვით.***	☐ **Word** (*.docx; *.doc) ☐ **Excel** (*.xlsx; *.xls) ☐ **PowerPoint** (*.pptx; *.ppt) ☐ **Oracle Java** (*.java) ☐ **IBM SPSS Statistics 20** (*.sav) ☐ **SPSS Statistics 17.0** (*.spv; *.sav) ☐ **ISIS 7 Professional** (*.DSN) ☐ **Multisim 12.0** (*.ms12) ☐ **ARES 7 Professional** (*.LYT) ☐ **Flowcode V4 for AVRs** (*.fcf_avr) ☐ **logisim-generic-2.7.1** (*.circ) ☐ **GeoGebra** (*.ggb) ☐ **Matlab 2016a** (*.m; *.mat) ☐ **EpiInfo** (*.prj) ☐ **LCD Vision** ☐ **Microsoft Visual C++ 2008 Express Edition** (*.vcproj) ☐ **Codevision AVR** (*.c) ☐ **PHStat2** (*.xlsx) ☐ **Kawa** (*.*) ☐ **Dev-C++** (*.cpp;*.cc;*.cxx;*.c++;*.cp; *.c)

	☐ **Visual Studio Code** (*.cpp; *.c; *.java; *.sql; *.jsx; *.js) ☐ **Visual Studio 2015** ☐ **Gcc** (*.c; *.cpp; *.java) ☐ **Eclipse IDE 9** (*.txt; *.cpp; *.c; *.java; *.sql; *.jsx; *.js) ☐ **Notepad ++** (*.txt; *.cpp; *.c; *.java; *.sql; *.jsx; *.js) ☐ **სხვა _** (გაფართოება)
თუ სტუდენტი ერთდროულად მუშაობს რამდენიმე პროგრამაში და საბოლოო სახით, საჭიროა ნაშრომების დაარქივება, გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი გრაფა.	☐*.zip; ☐*.rar;
ფურცელზე წერის შემთხვევაში, მონიშნეთ შესაბამისი გრაფა	☐ სრულად ფურცელზე ☐ ფურცელზე და კომპიუტერში

დანართი #2

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ „გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების წესის“ დარღვევის ოქმი

ეს ოქმი ადასტურებს, რომ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის _ _ _

დანართი #3

წერითი ნაშრომების მიღება-ჩაბარების აქტი

ერთი მხრივ, საგამოცდო ცენტრის წარმომადგენელი (შემდგომში - ,,გადამცემი“) _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ ვადასტურებ, რომ გადავეცი, ხოლო, მეორე მხრივ, _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _